Absicht

Sowohl im **deutschen** als auch im **georgischen Recht** gilt die Absicht als stärkste Form des Vorsatzes (*dolus directus 1. Grades*). Sie zeichnet sich dadurch aus, dass das voluntative Element (Wille) das kognitive (Wissen) überwiegt. Konkret muss es dem Täter also gerade auf den tatbestandsmäßigen Erfolg – im Sinne des Hauptzwecks seiner Handlung – ankommen, während er dessen Eintritt lediglich für möglich halten muss. Mit Art. 9 Abs. 2 gStGB hat der georgische Gesetzgeber eine Legaldefinition bereitgestellt, nach der der Täter absichtlich handelt, wenn ihm die Rechtswidrigkeit seiner Handlung bewusst ist, er die Möglichkeit des Eintritts des rechtswidrigen Erfolgs erkennt und diesen auch will. Für einige Delikte setzen beide Rechtsordnungen ausdrücklich das Vorliegen einer Absicht voraus (z.B. die Absicht der rechtswidrigen Zueignung bei Diebstahl, § 242 dStGB bzw. Art. 177 f. gStGB, und Raub, § 249 dStGB bzw. Art. 179 gStGB). Zur Erfüllung der entsprechenden Straftatbestände reichen dann weder ein bedingter Vorsatz (*dolus eventualis*) noch Wissentlichkeit (*dolus directus 2. Grades*) aus. Dabei muss die Absicht aber stets nur im Hinblick auf die Verwirklichung des betreffenden Straftatbestands vorliegen, nicht aber zwingend auch auf das finale Handlungsziel gerichtet sein. Die deutsche und die georgische Rechtslage entsprechen sich somit vollständig. (Mpi/Gtu)

მიზანი (პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა)

როგორც **გერმანულ** ისე **ქართულ სამართალში** მიზანი (პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა) წარმოადგენს განზრახვის ყველაზე ძლიერ ფორმას. იგი ხასიათდება იმით, რომ ვოლუნტატიური ელემენტი (ნებელობა) აღემატება კოგნიტიურ (ცოდის) ელემენტს. მაშასადამე, დამნაშავისთვის საკუთარი ქმედების მთავარი მიზანი კონკრეტულად დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგის გამოწვევა უნდა იყოს, რა დროსაც იგი მის დადგომას შეიძლება მხოლოდ შესაძლებლად მიიჩნევდეს. ქართველმა კანონმდებელმა სსსკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრა საკანონმდებლო დეფინიცია, რომლის თანახმადაც დამნაშავე პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, როდესაც მას გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა,ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს მას ეს შედეგი. ორივე კანონმდებლობა ცალკეული დელიქტების შემთხვევაში ცალსახად ითხოვს მიზნის არსებობას (მაგალითად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი ქურდობისას, გსსკ-ის 242-ე პარაგრაფი, შესაბამისად სსსკ-ის 177-ე და მომდევნო მუხლი, და ყაჩაღობა გსსკ-ის 249-ე პარაგრაფი, შესაბამისად სსსკ-ის 179-ე მუხლი). ამრიგად, შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობების განსახორციელებლად საკმარისია არ არის როგორც არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვა, ისე მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა. ამასთან, პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა (მიზანი) როგორც წესი მოცემული უნდა იყოს შესაბამისი

დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით და არ არის სავალდებულო, რომ იგი მიმართული იყოს ქმედების ფინალური მიზნისკენ. მაშასადამე, გერმანული და ქართული სამართლებრივი მდგომარეობა სრულფასოვნად შეესატყვისება ერთმანეთს. (Mpi/Gtu)